

ველი, 25 სექტემბერი 1916 წ.

რედაქციის აღმასი:
თფალისი, ოლიას ქუჩა, № 6.

ვალ 15 პაპ.

მარკიზი

მარკიზი

იუმორისტი:
უურნალი

39

ცხრა თვალი



თ. გ. შ. ა. ბ.

ტ. ი. ტ. კ.

საგაჭრო-სამეურნეო ჟურნალი (პოლიციელი) ცხრა თვალი უნდა გამოვიჩათ
და ველადოთ ვერსად მიმალონ სპეციალიზმი სურსათ-სანოვაგე.
პოლიციელი. დიახაც, დიახაც.

ქუთათურის დღიური

(მომავალი წლისათვის.)

7 აპრილი.

მშვენიერი ამინდი დგას. ბუნება გამოცოცხლდა. მეტაცხლები მოფრინდენ. მინდორ-კელი მწვანით შეიმოსა. დილის 9 საათზე გაიტაცეს პირველი კლასის, გიმნაზისტი ტიტო ფლავიანე, აფთიაქის პატრინის გიორგი ფლავიანის ვაჟი. საზოგადოება ძლიერ ალელებულია ამ თავხედთა მოქმედობით. გაზეობში ცხარე წერილები იბეჭდება. პოლიციამ ენერგიულ ზომებს მიმართა.

9 აპრილი.

გიორგი ფლავიანეს ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა მტაცებელთა წარმომადგენლებთან, რის შემდეგ პატარა გიმნაზისტი განთავისუფლებულ იქმნა.

გუშინ გაიტაცეს ვაჭარი გაბუნია და ზუმბაძე. ქალაქი შეძრწუნებულია. ექიმ ხეჩუაშვილს წერილი მისვლია. პოლიცია დიდს სამზადისშია. უკვე დაათვალიერეს „თეოტისა“ და „შიოთელ“ ხიდს - ქვეშ სიქვირ აღგილები

17 აპრილი.

სამ უკანასკნელ დღეში გაიტაცეს: კლასიკური გიმნაზიის დირექტორი, ვაჭარი გრიგოლ ლალიძე, თავტრის კასირშა ქნი კიტა*) აბაშიძე, 7 გიმნაზისტკა, 29 გიმნაზისტი და ინჟინერი ლევან ბარბაქიძე. ხალხი ძლიერ დაშინებულია, ვაჭრები ქალაქიდან იხილებიან. წარმოება ცოტა არ იყოს შეფერხდა და ქალაქში სანოვაგეთა ნაკლებობამ თავი იჩინა.

5 მაისი.

დღემდე არ დაუბრუნებიათ და მტაცებელთა საფარში იმყოფებიან. ვეტილები: დავით ბარნაბა.

*) ადგით სახელი შეცდომითაა ნაჩვენები.

შვილი, კალისტრატე ჩიკვაიძე, ვიქტორ ბუაჩიძე, კლემენტი ბრეგვაძე, იასონ ლორთქიფანიძე და ნიკ სიქაძე; ვაჭრები: ვარლამ ჭილაძე, მოსეშვილი, კაკიტელაშვილი, ლომინიძე, ოგანოვი, გვარამია, ჯანელიძე, ქინ ქლაძე და სუნგია.

გუშინ წაიყვანეს სააზნაურო ბანკის გამგე კომიტეტის სხდომა in corpore, სასამართლოს თავმჯდომარე, მიწად მოქმედების გამგე, აღილობრივი ტყის მცველი, „მეგობრის“ რედაქტია; საზოგადო მოღაწე წეტრე ყიფიანი და გრიგოლ გველესიანი. კიტა მბაშიძემ გაასწრო. სულ ერთია, წერილი მისვლია: — უმჯობესია თითონ მოხვიდე შენის ფეხით, ჩვენი გზის ფული გადასახადათ არ დაგაწვებაო. ამბობენ: კიტამ გადაიკითხა „დიმიტრი თავდადებული“ და წასკლა გადასწყვიტაო.

11 მაისი.

გუშინ დელმა ამბავმა ყოველივე მოლოდინს გადასჭარბა.

სალამოთი, ამავე დღეს, მორტაცეს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება პატიცეცმული მარშლის დავით ოტას-ძე ნაფარაძის თავმჯდომარეობით.

დაბეჯითებით ამბობენ: მტაცებლები ქალაქის ბულვარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუნძულში იმაღებიან. პოლიციამ გაასკეცა თავისი ენერგია. განსაკუთრებულია ამ უბნის სალარაჯოთ მიწენილია ერთი გორიდოვით.

სასწავლებლები, რომელთაც „მორტაცების“ სენი არ მოუხდიათ უკვე დაიხიზნენ ახლო მახლო დაბა-სოფლებში. ქალაქი სრულიად დაიკალა.

14 ივნისი.


დღეს გაიტაცეს უკანასკნელი მოქალაქენი, სახელდობრ ქალაქის საბჭოს სხდომა. კრებას არც ერთი ხმოსანი არა ჰქონდა. ქალაქის მოურავმა გაქცევა განიზრახა, მაგრამ დაიკირეს. ამან აავსო პოლიციის მოთმინების ფილია და ყველა გამვლელ გამომვლელ სოფლებს ჯიბებს უსინჯავენ. ჯერ ჯერობით მტაცებელთა კვალს ვერ მიაგნეს.

13 ივლის.

აგერ თითქმის თვე სრულდება, რაც ქალაქში
მხოლოდ პოლიცია დარჩა. იმ ხანის განმავლობა-
ში ერთი მტაცებლობაც არ მოშხდარა. ახლო-მა-
ლო სოფლებში დახინულნი განცვიდურებულნი
არიან. ზოგიერთები ისე გათამადენ, რომ ქალაქში
დაბრუნებასაც აპირობენ.

- ვნახოთ.
- ვნახოთ.

ეჭმაკი



უსტარი ეუმაპს.

სოფელი ვნახე უკაცოთ,
მარტო ქალების ამარა,
დატრიალობდენ ოჯახში—
ქეთო, თებრონე, თმარა.
იმათმა შრომა გარჯა
მე გული გამიხალისა
და ვსოდეი: —დაილოცოს, ეშმაქმა
საქმიანობა ქალისა!

მაგრამ სხვა ქალი რომ ვნახე
გამოწყობილი მოდაზე,
საქმეზე ხელს არ დასრულდა,
დაპაკუნობდა ოდაზე!
მე მისი ცქერაც შემძაგდა,
ჩამოვაშორე თვალები
და ვსოდეი: —დასწყველოს ეშმაქმა
ყველა ასეთი ქალები!

გურიანოვლი.

3 უ რ ი

თეატრი რომ ძალიან მიყვარს, თქვენც კარგაო
იცით. ყოველთვის შენიშნავთ ჩემს პატიოსნებას პა-
რტერის უკანასქნელ რიგში ჩამოსუქებულს. ძალა-
ზე მიყვარს თეატრი და ბევრი სარგებლობაც მოუ-
ტანია მას ჩემთვის. აბა სად, თუ არ იქ, შეხვდა
ჩემი მეუღლე ნეტარ-ხსნებულ ივანე ჩერჩეტიშვილს,
შეიყვარა იგი და მე თავიდან მომშორდა. თეატრი-
სავე შემწეობით ერთი საფეხურით მაღლა დავდექი
სამსახურში: უფროსის ცოლს გული შეუწუხდა დრა-
მის მძიმე აღილზე, მე მას დავიხმარე, გავიცან და...
და... სამსახურში წან წავიწიო. ვინ მოსთვლის რა-
მდენი რაშისათვის უნდა ვიყო მაღლობელი თეა-
ტრისა..., თუ! ძლიერ მიყარს თეატრი!.. აი, თუნდ
გუშინ, როდესაც პურის უქონლობით ჰარაქათი გა
მომელია და „ოჩირედში“ დგომით ფეხები დაწყდა, არ
ვუმტყუნე მე თეატრს. გუშინაც ავიღე ბილეთი და
შეველ.

შუცელ-ცარიელი დავსეირნობ თეატრის დარ-
ბაზში... ათი წუწუთის შედგომ მე გამოვძეხ, მხო-
ლოდ „ბუფეტის“ პატრონმა ნება არ მომცა ჩემი
დელისა და დებისათვის წამელონ სახლში საქმელი!..
ბევრი ვეხვეწე, ვეჩხუბე!.. ამაოდ!..

ზარიც დარეკეს და შეველით. ჩაქრა სინათლე,
აიხადა ფარდა... პირველ ყოვლისა, რასაც მოვ-
კარ თეალი სცენაზე, იყო გაშლილი სუფრა და სუ-
ფრის შუა ათ გირგანქამდე თეორი პური!..

თეორი, ღრუბელივით რბილი პური!..

ნეტავ რა თვალომაქულიბია იშოგეს იგი!

ყურადღებას იღარ ვაქცევლი მსახიობთა თა-
მაში... ჩემს თვალ-წინ იდგა პური. თანაც მაგონ-
დებოდა დედა, დები, რომელნიც მოუთმენლად
ელოდებიან ჩემს მისელის სახლში, რასაკვირველია,
პურით ხელში...

ღმერთო ჩემო! პურს სკრიან, სკამენ!.. სი-
სხლი თავში ამივარდა... წიმოვერდი ზეზე... ჩემ წინ
მჯდომ ფაფრიან ჩეცენზენტრს გალსტუხი ჩამოვაგლიჯე
სიჩარეში, პირველ რიგში ვიღაცას მუხლებზე და-
ვახტი... გასაოცარი სიმამაცით გადავევლე „ორკე-

სტრს“ და სცენაზე გაფჩნდი. არ მესმოდა ხალხის ჩინქოლი, მე მხოლოდ პურისაკენ მქონდა მიპყრობილი თვალები. ჰა, მივაღწიო... უსტაცე ხელი პურს... აქტიორები ჩამებლაუჭენ... დავაღწიო თავი მათ, მხოლოდ ერთი მათგანის თეთრი წვერ-ულუაში შემრჩა... ხელში კულისებში კეტებით შემხდენ... გავცოფდი, ლომას სიმძლავრე და სიმამაცე მომეცა... შევარდი ერთ საპირფარეშოში, ფანჯარა გაუამტვრიო და გადავხტი თეატრის ბაღში. ბაღიდან ქუჩაში გამოსვლა და სახლისაკენ გამგზავრება სრულიად აღვილი იყო... ლომე სახლში ლილი მხიარულობა გვქონდა,. რაღან რიგიანათ ვიგაზმეთ.

ყველაფერს დავთმობ თეატრისათვის, მაგრამ პურს...

გუგული.

შ ა რ ა დ ე ბ

რაკი ვსთქვი, მინდა დავიცო
ჩემი სიტყვა და პირობა,
თუმც ასრულება ამისი,
არც თუა დიდი გმირობა.
ან კი რა დიდი საქმეა
რითმების მობმა რითმებზე?
დღეს ჩვენში მერითმებსა
ვერც კი ჩამოთვლით თითებზე.
და რა იქნება მეც ერთი
შარადა მოვაჯახირო?
ხომ უწყა, კუმ ფეხი გამოყო
და სთქვა: „მეც ნახირ ნახირო“.

პირველი სიტყვა, რომელიც
დღეს შარადისთვის გვჭირია,
უცხო სიტყვაა, მაგრამ მის
ხსენება ჩვენშიც ხშირია.
ცხოვრების აღვირ-სადაცე
დღეს ხელში იმას უჭირავს

და ისე წირავს ისიცა,
როგორც მის მამას უწირავს.
პატიოსნება, სინდისი
ოქროსთვის შეუწირია.


ხალხის ჭირი და ვარამი
იმისთვის „ღობეს ჩხირია“.
მისი სამეფო უბანი
თფილისში სოლოლაკია:
პირველობს, უკანასკნელი,
ჯიბე მაგარი რაკია.
ამ სიტყვის მხოლოდ პირველი
ასო გვინდა და გვეირდება,
სხვა გავატანოთ აღაზანს,
როდესაც წამოდიდდება.
მტკარს ნუ შევურევთ, რომ უცბათ
არ განჩდეს მასში ხოლერა
და არ გვამღეროს თავცემით
„ვაღვუი“ და „ორერა“.

შემდეგ ვეწვიოთ სოფელია,
ვიხილოთ მისი მშვენება;—
ის რომ ბუნებით ლალია—
ეგ ვის არ მოეხსენება?
ხან აღმა ავყვეთ, ხან დაღმა,
ათასფრად აუერადებულს
და გლეხს მივიღვეთ კიშკარზე,
შრომაში გაფოლადებულს.
და, რასაც ვეძებთ, რაც გვინდა,
იქ ვნახავთ უეჭველადა:
უმისოდ გლეხი არ ვარგა,
ის დაძყავს ტყედ; თუ ველადა.
როს შემოდგომა დადგება,
ჩამოყვითლდება ყანები,—
გლეხსაც იმისკენ უჭირავს
გაბრწყინვებული თვალები,
დილით აღრიან ადგება,
ყანისკენ გააქრიალებს,
თვით კოფოს წამოუჯდება,
„პირველას“ ჩააკრიალებს.
ახლა მგონია თქვენც მიხვდათ,
არ უნდა ამას ჩიჩინი.
რომ ესეც შუა გავკვეთოთ
და შევაერთოთ ისინი.
უკანასკნელი ასო კვლავ
გვექნება საძებნელათა

და ჩვენც ხველრს დავეშორჩილოთ,
გავიწრეთ მინდორ ველათა.

ჰა, იგერ, კორდზე, ბუჩქის ძირს,
გამონასკულა ლურჯიცა,
ლეიბათ მიწა უგია,
საბნათ ახურაცს ლურჯი ცა.
ცისფერ თვალებზე ცვარებათ
მოსხმია ნამი დილისა
და ისე შვენის, ვით ლაშაზს
საკინძე ალშასთ ლილისა.
ხელშეუხებლათ ეს სიტყვაც
სხვებს რომ მოვაბათ კუდათა,
შარალა— სრული იქნება
და დაწერილი — ცუდათა,
მაგრამ თუ დაუკვირდებით,
მგონია, ახსნით ადვილათ
სახტათ დარჩებით, იწუხებთ,
რომ არ გექნებათ საღილათ.

ჩახრუხაძე.




თვილისი ჯიგირები.

ქველად თუილისში ჯიბგირობა ხვდებოდა რჩეულს
და ამ ხელობას სახიფათოს მარად ეამს წყეულს,
კანტოსა გარდა გაურბოდა ყოველი არსი
რადგან ის იყო ამ საქმეში ყველაზე თარსი.
მარა მიბრძანდით, ეხლა ნახეთ სადგურსა შინა,
რამდენ ჯიბგირებს მოუნახავთ აქ თვისი ბინა!..
ისე გართულდა საქმე იმით გამოწვეული,
ისე გამრავლდა ხალხი ამით გამოჩეული,
რომ არავის სურს ჯიბე მკერაცს დააკერვინოს,
რადგან ვის უნდა შემდეგ ჯიბგირს დააჭრევინოს.
ახლა ხელობათ შემოვიდა სულ ჯიბგირობა
და ვისაც უნდა გამოჩენა თვისი ბიჭობა,
სადგურის ქუჩის მიაშურებს, იქა დაიცის,
სად ხალხი მოვა, უნგბლიერ ჯიბას დაიცილის
და ამა თანხით ვის არ ძალუძს შემდეგ ვაჭრობა:

სპირტსა შეიძენს, ხალხს წაულებს რუსეთში მშეუ-
რვალს,
რაც დაამებს მრავალ ოჯახს სიტხიზლეს მძულვარს,
ხოლო თვით გროშებს ერთი ათად მიიღებს ჯილდოთ
და გამოფიტულ თვისსა ჯიბეს, ჯიბეს ცარტელს,
ასე ამ რიგათ გამოჭედავს ოქროთი მჭიდროთ.
მარა ხომ იცით ეხლა დროა დაუნდობელი,
კონკურეცია მეფობს ყველგან დაუდგრომები
და რა გაკვირდეთ, თუ თფილისის ძევლსა ჯიბგირებს,
თავის საქმეში გამოცდილებს, ძლიერს და გმირებს,
მეტოქეობა გაუმართა სოფლელმა ხალხმა
და ამის გამო მყის გაიგო „ჯიბგირთა დახლმა“.
პირველი არის ამ საქმეში „ქოცო არტისტი“
ხონში ნაქები ერთი საქმით, დიდი ყანწისტი,
ვინც თვის სიცოცხლით ასეთ საქმეს შეეწირება,
დღითი ისვენებს, მას ხომ ღამით არ ეძინება,
რომელს ყმაწვილთა მთელი რაზემი შეუდგენია
კაპიტალიზმის ხანა არის მართლა წყეული,
ვინ იფიქრებდა თფილისელი კინტო ჩერული
მარტოობასა ჯიბის ჭრის და ასეთ საქმეში,
დღეს გაებმოდა ხონელ ქოცოს მახჯვე მახეში.

ხუნაგი.



სახუმარო რეიულიდან

2

ს ა დ ა ლ ა შ რ ა შ ი

ისეთი ორშაბათი გათენდა, რომ თვალთაგან
ცინტხალს ყრიდა: გადასაჩული ცის კაბალონი,
კურდლელივით ყურებ. აცქვეტილი გადაცვარული
ბალახეულობა, მოჭირებული მერცხლები, ბულბულე-
ბის ნაცვლათ აჭურლულებული სხვა და სხვა ჯუ-
რის ჩიტები, ლოყებ ავარდისფერებული აღმოსავ-
ლეო... ყველგან სიცოცხლე, სიახლე, გაპატაწვი-

ლებელი ძალის ფეთქა და სიხარული, სიხარული იმ ცქინალა ქალწულისა, რომელმაც ის ამ წუთს სატრფო იხილა და ყოველ წამს მზათ არის გადაჰკისკისოს მთელ ქვეყანას, მაგრამ თავს იკავებს, კლებამოსილებით იმსიცბა.

სიმოსავით მთელ სოფელში არავის არ უგრძენია იმ დილის მშვენიერება; არც ერთის გლეხის არსებაში არ ჩაკერილი ძალის ამაფეთქებელი და სამუშაოთ გამწევი ცეცხლი ასეთის ძალით.

— ლმერთო, ვმადლობ შენს წყალობას, რო ასეთი ორშაბათი გამითენეო, — წაიჩურჩულა მან პირჯვარის ჩამოსახვით და ხელათ მონახა გამარმალებული თოხი.

— ქალო, იმ დილის დაუხემსბლათ მივალ და სადილი დროზე გამომიგზანე, — მოაძახა მან ცოლს, რომელიც ქარზე ადრე ამდგარიყო და სოოჯახო თადარიგს ეწეოდა.

რამდენიმე წამის შემდეგ სიმო, შხარზე თოა გადებული, ახალობ სამარა გამილებული მიეურცბოლა ყანისკენ, სული მიუვიდოლა, სანამდის თოხნას შეუდგებოლა. თანაც გულში სწყინდა, რომ უფრო ადრე ვერ ადგა.

— სიმოს გაუმარჯოს, სიმოს! მოაძახა ვიღაც მოსახვევთან.

— აა, მარკოზას გაუმარჯოს უთხრა სიმომ ღიმილით, — სად იყავი გუშინ შე ძალლების შესაქმელო, მთელი დღე გეძებე!

მარკოზა გუშინ მთელი დღე სოფლის ზედა ნაწილში პარსავდა ხალხს და ლმეც იქ დარჩა, ამ დილა ადრიანათ კი შინ ბრუნდებოლა. ილლიაში რაღაც ყუთ ამოდებული მარკოზა სიკილით მიუახლოოდა სიმოს და ხელი გაუწია.

— თუ მმა ხარ წინ არ შემხვდე, — მიაძახა ღიმილით სიმომ, — უკუღმართი ფეხის კაცი ხარ, თუ ამ ორშაბათ დილის დამნამსე, ამ კვირეში ვერ გავიხარებ.

— წადე, წადე, შვილოსან! აკვირიკავებით უთხრა მარკოზამ და ხელი შაინც ჩამოართვა. — რავა, თავის მოპარხა გინდოდა არა? შეეკითხა იგი.

— მინდოდა და მეტი არა! ბალანბა შემჭამა კაცი, გაბუძგული ვარ ძლარბივით.

— დაჯვ რაღა, გაგსურსნო ხელათ.

— აგიშენდა ოქოქი ორშაბათ დილის მე შენ

მაგისთვის გაგაცდენილ თავი! დაიკარგე შე მატყუარა, შენა! აკი გუშინ იყავი შეპირებას, გამაცრუებელო შენ! ამ სიტყვებით სიმომ ფიცხლავ იბრუნა პირი ყანისკენ და მარკოზა შეა ქუჩაში მიატოვა.

— კაცო, სიმო ხარ შენ, — მიაძახა რამდენჯერმე მარკოზამ, მაგრამ ამაოთ, — მეიხელე ერთი, კაცო გითხრა რაში იყო საქმე!

მარკოზამ რაკი დაინახა, რომ სიმო არ ჩერდებოლა, უკან გაკიდებაც იყალრა და მანამ არ მოეშვა, სანამ არ შეაჩერა.

— რა გინდა, ძმაო, შემოჩენილი ხომ არ ხარ ამ ორშაბათ დილის! კაცი სამარგელ ყანაში მიერბივარ და შენ დაგაწყებინებ აქ თავის ჯიჯნას! შემოუწყრა სიმო.

— რა გინდა ძმაო, ხუთ ნიმუტში გაგათვისულებ, ლმერთს გეფიცები, სიფთაზე შემხვდი ამ დილის და არ მინდა გაგიშვა; ისე გაგკარკნო, ისე რომ... თვარა მერე კვირამდი ვერ შეგხვდები და ვარესია, ბალანი შეგვამს ამ სიცხვებში. ლმერთს გეფიცები, რო სიფთა არ იყოს...

ამ სიტყვებით მარკოზამ უკე გაშალა თავის ბარგი-ბარხანა ყორეშე და თასმებიც შეიჩიტყა წელზე.

ცოტა არ იყოს სიმოსაც გაულბა გული — იფიქრა, რაკი სიფთაა, იაფად მომპარხასეს თავს, რაც უნდა მიესცე დამჯერდებაო, მაგრამ ისტატური მოლაპარაკება მაინც საჭიროა სოქვა და შესაფერი თადარიგიც დაიჭირა.

— მეიცა, ძმაო, მაგას ნუ ალაგებ, თვარა ტყვილა ჩაგივლის, მამიჩემსა აქ ცხონება, — ღიმილით უთხრა მარკოზას.

— მოიცა, შენ! ჯერ ერთი შენი დასაჯდომი ქვა მოვნახო, — ეუბნებოლა მარკოზა და თან ყორეს აკვირდებოლა, — აბა რომელი ქვა გამოვილო სიმოსთვის. ორიოდე წუთის შემდეგ ლოკების გამობერით და თან „ფჲ, ფჲ, ფჲ...“-ს ძაბილით კარგა მოზრდილი ლოდი მოათრია გულზე ახუტებით.

— აბა, აბა დაუჯექი, ბევრს ნუ ლაპარაკობს მიმართა სიმოს და ახალობზედაც კი წარანა ხელი.

— შენ, პეტი სიცხე ხომ არ გაქ შენ ამ დილის, ამ დაფჯდე რავა, ისე ალა-ალაა ამ დილის

დაჯდომა? ფასში არ მირიგდები, რაფერ უნდა მომპარუო არ ვიცი!

— შენზე ვსტავლობ, ყურუმსალო, თავის ფარცას თუ?.. მართლა კი ნუ დეიწყებ იმას!..

— მე, ქმაო, თავი დანით უნდა მოვიპარუო, მაგრატლით არ მინდა.

— ბიჭის, რისი მაგრატელიი მარშნა მაქ იმისთანა, რომე ხელათ გაგიტურტნი თავს. სა- მართობლით თუ გინდა, არც ისაა დიდი მალიათი ბრასივით დანა მაქ, აი შეხედე! ბალანი იქრება ზედ, ბალნჩი...

მარკოზამ წამში გამოაწყო და აჩვენა. სიმოს თავისი იარაღები.

— წყდო რო არ გაქ, — შენიშნა სიმომ.

— აგერ არ დგას თხრილში! მშვენიერი კაი წყალია, გუშინ დილის ნაწეიმარია!.. დაჯექი შენ დაჯექი, ბევრს ნუ ლაპარაკობ, სადა ჩემი ტაშტი და საპონი, გავქაფო ერთი.

დიდ უარზე იყო სიმო — ორშაბათ დილას წუმშე წყალი რავა დავისხა თავზეო, მაგრამ მარკოზას საბუთებმა გასჭრეს და როგორც იქნა დათანხმდა. მაგრამ ახლა მეორე კითხვა აღიმართა მის წინაშე, კითხვა ერთობ სერიოზული და ძნელით გადასაწყვეტი.

— არა, ყველაფერი კაი, მარა გარიგება არ უნდა! არ უნდა ვიყოდე რას მათევენებ? ეს კითხვა მაშინ მისუა სიმომ, როცა გახარებულ მარკოზას ქვაზე უნდა დაესვა იგი და გამწვანებულ სპილენძის სადალაქო ტასტში გაქაფული საპონით უნდა დაეფარა მისი თავი.

— დაჯექი, ქმაო, დაჯექი, შუადღე გახდა, კაცო ბევრს ნუ ლაპარაკობ!

სიმო ახლა სულ მოშორდა ლოდს და გადაჭრით განაცხადა, რომ თუ არ გამირიგდები, ისე მე ჩემს გზას ვეწვიო. მარკოზას მეტი რა გზა ჰქონდა — უნდა გარიგებოდა.

— ოხ, რა ჯანჯალი კაცი ხარ, სიმო, რა ჯანჯალი! თქვი აპა რას მაძლევ.

— ჯერ შენ თქვი, ხელობა შენია.

— არა, შენ თქვი...

— შენ თქვი...

— კაცო, ეს რა ძველებული სალამი გადამზყარა ამ დილას... ა, ქმაო, კარგი მე ვიტყვი უწინ, — დათანხმდა მარკოზა, — შაური მომეცი.

— სწორეთ, მაგ კუუაზეა ამ დილით სიმო! შენ შეხვედრის ამ დილას წელკავს შეხვედროდი კი მერჩია, არ მინდა ქმაო, არაფერი, ლექტომა შვილბა მოგცეს, — ამ სიტყვებით სიმომ თოხი მხარზე გაიღო და გზას გაუდგა. მარკოზას პირს კატა ეკა — დავიღუპე კაცი, ამდენში ცდამ ტყვილით ჩამიარაო.

— კაცო, ეი, სიმო ხარ შენ! გეყურება თუ არა? არ მეიხედავ, კაცო!

— ერთი ორ კაპეიკიანი მაქ, ქმაო, თუ გინდა მოგცე და მომპარსე. თვარი და მოშორდი აქედან, — მოაძახა სიმომ უკან დადევნებულ მარკოზას.

— მოდი, მობრუნდი, მობრუნდი.

სიმო მობრუნდა, მაგრამ არც ისე კმაყოფილი იყო და ყოველ სიტყვის მობრუნებაზე ოჯახს უქცევდა მარკოზას ამ დილაზე შეხვედრისთვის.

— აბა, მაღვე, არ გამაჩერო, თვარი ვაი შენს სიცოცხლეს მარკოზა მაშინ, — ეუბნებოდა სიმო და ლოდს დასჯლომათ აწყობდა. თანაც ადამ და ევის დროიდან გაურეცხელ ფეშტამილს უკეთებდა კისერზე მარკოზა. ერთი წამის განმავლობაში მისი თავი ერთიანათ გაძაფული იყო და მარკოზაც ციბრუტივით ტრიალებდა: ხან წუმპიან თხრილს მიახტებოდა, ხან ყორესთან მიიჩნებოდა იარაღებისთვის და ხან კიდევ სიმოს საჯდომ ლოდს პატარა ქვებს უყენებდა, რომ ყანყალი შეეჩერება. ბოლოს დანამდისაც მივიდა ჯერი, და „იპ, იპ, იპ“-ს ძახილით თასმაზე გაკვრის შეზღებ ფრთხილათ დაუსვა სიმოს თავზე.


— ეუპი! სამართებლის მუკარებისთანავე წამიყვირა სიმომ, — შე ოჯახ დასქეცვევო ესაა შენი გალესილი დანა?

— მოიცა, მოიცა, გააჩერე თავი, შეეჩერევი!

ასე დააიმედა მარკოზამ, მაგრამ შეჩერებამდი ჯერ კიდევ შეარს იყო და სიმო სულ კბილებს აკრაჭუნებდა. მარკოზამ კარგათ იცოდა თავის დანის სიკეთე და ამჯობინა ლაპარაკით გაერთო სიმო — ტკივილს დაივიწყებსო. ნანახი, გაგონილი, ტყვილი, მართალი ყველაფერი მოუყვა, მაგრამ სრმოს წმუკუნი მაინც უორს გაისმოდა.


— შე ოჯახ ამოფუტრულო, შე კერია დასაფსებო, თუ დანა არ გივარგოდა რაზე დამაგინე კაცი, — ბურდღულებდა სიმო და ხან აქეთ იღრეც-

გუსარი ციკვდილისა



თავვანწირული გერმანელი ჯარისკაცები თანხმდებიან, რომ მიჯაჭვულ
იქმნან ზარბაზნებზე, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდი იბრძოლონ.

გუსარი სიონილიცა.



ჩვენი „საზოგადო მოღვაწეებიც“ სიკვდილამდე ეჯაჭვებიან რეინის კა-
სებს, რომ . . .

და ხან იქით. მარკოზის კი შეუბრალათ გაქონდა მის თავზე ფხიკი-ფხიკინი და ყოველი ბალანის ძირის მოკრას აგებინებდა სიმოს. ამავე ღროს ბევრ ადგილის სისხლიც გამოადინა, მაგრამ ხელათ შეაჩერა: სიმოს შეუმნიველათ ყორეს წაეპოტინა, ფხნილი მიწა გამოიღო და ამოცარულ სისხლს დააყირა.

— არა, სიმო, მართლა ორი კაპეიკით გინდა გამისთუმრო, ამ დილას? — შეეკითხი იყი, როცა მე-სამედი თავი როგორც იქნა გადატხევა და დარწმუნდა თანაც — აწი ვერ გამექცევაო.

— რავა პირს მიტებ თუ? ერთი შეუყვირა სიმომ და წამოიკრა. ატყდა იყალ-მიყალი: მარკოზა შაურს თხოულობს, სიმო ორ კაპეიკს ფქის არ აცელის. აგინეს, ანთხიეს ერთმანეთი და ბოლოს როგორც იქნა სამ კაპეიკზე შეთანხმდენ, მაგრამ სანამ მოიდან გადომომყურალე ექლესიზე არ შეფიცეს ერთმანეთს, ისე როდი განაგრძეს საქმე.

— გაუშურა იმ წმინდა გიორგის მაღლი, ვინც პირი გატეხოსო, დაიფიცა მარკოზიმ და სიმომაც „ამინი“ უთხრა.

— აპა, შეხვდით ერთმანეთს ატყულია და მატყულია! მოალაპარაკა ეფრემი, რომელსაც უკან ტომრებ გადაკიდებული შავი ცხენი მოყვებოდა.

— უკ, ეფრემ და მისი ნახშირიც აგერ არ მოსულან... ხა... ხა... გადაიხარხარა მარკოზამ, — სად მიათრევ ამ კვრას, რას აწვალებ ამ ჯახხისა შე სულ კატინო, შენ, ა? საფლავში გინდა ჩაყვე?

გაძვალ-ტყავებულ ნახშირაზე ტომრით ეფრემს საფქვავი აეკიდა და წისქველში მიქონდა; უბედურ ცხენს ტვირთის გავლენით წელი ერთიანათ ჩანარექმდა და უკანა ფეხებიც გაფაჩქული მიჰკინდა. თანაც ბეტერ ძვლებს სულკრისინ კრიჭინი გაძქონდათ, ხოლო უნალო და ჩილიქებ დაზღიული ფეხები ნიჩბებივით ედგვეცებოდენ მიწაზე. კული დიც ერთობ გასაჯაყებულ მდგომარეობაში ჰქონდა ნახშირის: სულ გაეცალათ ბავშებს მახეებისთვის და ახლა გახინილ რიკსლა აქანებდა ჩვენი ბედაური ქველი ცოცხივით. გახროკილი გვერდების ქვედა და ნაწილები და საზოგადოთ კუდის ძირის რაიონი „ძალის მწერთა“ ბუდეთ გადაჭეულიყო.

— გამარჯობა, ცრუებო, გამარჯობა, — ღიმილით სოქვა ეფრემი, — ბიქო, შე შტერო, ამას აჯიჯვენიებ თავს? ა? შეხედე რა უქნია, სულ დოუჩებისარ, შე უბედურო, და მერე მიწა დაუგოზია ზედ.

— ეგება მართლა, — გაიკირვა სიმომ და უნდოდა თავისკენ წაელო ხელი, მაგრამ მარკოზამ არ დანება — დანას წაჟარაო.

— შორს გადაათრიე, შორს ეს შენი ბედაური, ახლო არ მოკვდეს, — ამ სიტყვებით მარკოზამ ეფრემის ხელი უბიძგა და თავიდან მოიშორა. ისიც გზას გაუდგა.

— სიმოს თავზე კი ისევ ფხიკი-ფხიკინი გაქონდა დაყურუებულ-დაჩლანგებულ დანას. სიმოს სახის ღმენა და წუხილი პირდაპირ გულის მომკვლელი იყო.

— რას გადავეკიდე ამ ორშაბათს ამას!.. რა შავი ორშაბათი გამითენდა, რა უკუღმართ საათზე გადმოვედი, შვა დღე გახდა აგერ, ნახევარ ყანას გავთოხნიდი, — ბუზლუნებდა სიმო, რომელსაც ამაოთ ამედებდა მარკოზა..

ამასობაში უცებ მარკოზამ ხელი გადაიწნია, სიმომ თვალი შეასწრო სრესხლიან თითს და თავზე ხელის ტაცებით მიაყირა.

— გამაფუჭე შე იჯახ ამოსაგდებო, სისხლი გადამოფინე თავზე? და თავის გასისხლებულ ხელს დაუშუო ცქერა.

— არაფერია, არაფერი! დაჯექი, კაცო, ხელათ შევაჩერებ, — ამ სიტყვებით მარკოზამ მიწა აიღო და სიმოს თავზე უნდოდა დაედო.

— შე იჯახ დასაქცევო მაგის კრილობაზე დადგება ვის მოსწრებია, — მიაყვირა სიმომ, — ეგება საღმე ცხენის იგია და ის დამადევი, იშონე მაღლე, თვარა შამომაკვდები ამ ორშაბათს, იცოდე!

— უკ, ცხენის იმას სად ვიშონი ახლა, არაფერი უშავს ამას, მე სულ მიწას ვაყრი.

— ე, კაცო, იმ მოსახვევთან იმ პატრონ მოსაკვლაება ნახშირამ კუდი აწია ზევით, და რაცხას იზამდა ის სამგლე, გვიქეცი მოიტანე ერთი.

მეტი გზა არ იყო — მარკოზა უნდა გაქცეულიყო იმ ადგილისკენ, სადაც ნახშირამ კუდი ასწია და „ალბათ რაღაცას იზამდა“. ორიოდე წუთის შემდეგ მარკოზას ორივე ხელები გაეცსო ცხენის „იმით“ და მოურბენინა სიმოს, რომელმაც

წყველა-კრულვით წაუშეირა თავი ამ ორიგინალური საშვალების ქრილობაზე დასადებათ. მარკოზა-მაც ხელათ დააღო თავზე, სადაც ჯერ იყო, ცხენის „იგი“ და ხელების ერთი მეორეზე შემოკვრით და ფერთხის შემდეგ, თავისი საქმე¹ განაგრძო.

რაღაც სამართოებლი კიდევ უარესად განაგრძობდა თავის გამარტვალებელ დანიშნულებას, სიმოზ დანარჩენი თავის გაპარსევა ისევ მაშინით არჩია—არ დევეძებ სირცევილს, ოღონდ ამ წვალებას გადავრჩეო, მაგრამ მარკოზამ ეს ხელობის უფრაცყოფათ მიიღო და სთხოვა კიდევ მოეთმინა ცოტა: სამაგიეროთ სიმოზ სარკე მოთხოვა მას. მარკოზასთვის ეს არც ისე სასიამოვნო იყო,— ახლობამდი განგებ უმაღლედა, მაგრამ ახლა მეტი გზა არ ძირ—უნდა მიეცა. უცებ ამოილო ჩამტვერულ ყუთიდან ათნაირათ გაბზარული სარკე და ჩოხის კალთით გაწმენდის შემდეგ ზე ცხვირზე მიაღო სიმოზს, რომელმაც ბევრი იცქირა შიგ, მაგრამ მიზანს ოდნავადაც ვერ მიაღწია—არ იქნა და ვერ დაინახა ერთად მოპარსული თავი, მხოლოთ პატარ-პატარი ნაკრებს თუ მოკრავდა თვალს, მთელათ დარჩენილ სარკის ნაკრებში. ბოლოს, როცა ვერას გახდა, სარკე მიწაზე გააგდო და ერთი გემოზე უეუკურთხა მარკოზას.

ამასობაში მზეც კარგა წამოიწია, აგერ ის ღრი ხდება, რომ ცვარიც კი მოშრა. ამას კარგად ხედავს სიმოზ და გული უკვდება: იწყველის თავი, მარკოზას, რო ასე შეაცდინა; მაგრამ ახლა გვიანაა, ისევ სამართებლის ფხექის უნდა გაუქლოს და „უხენის იგის“ სურნელებაც გადაიტანოს.

ბოლოს, როგორც იქნა მარკოზამაც დაასრულა თავისი ხელობა—გაპარსა სიმოზ, მაგრამ ვი ასეთ გაპარსებას: ჯერ ერთი რომ კაცი მარტის ცხვარივით გაღეპა, მერე იცდათამდე ქრილობა მისცა და რაც ყველაზე უარესი იყო, ყველა თითქმის ქრილობაზე ცხენის „იგი“ დაწება, რის გამო სიმოზ ხშირათ ხდებოდა იძულებული, რომ ცხვირის ნესტებზე შესაფერი საცო დაედო.

— ა, მმაო, გამევიდა წირვა,—უზრა სიხარულით მარკოზამ,—ახლა წვერებს მარშინით გამოგპარცავ და მორჩა ბერი ცხონებას, — მაგრამ არც მაშინა გამოდგა სამართებელზე უკეთესი—არც ერთი თმა არ გაუჭირა, ყველა შეაზე გადაგლიჯა. მარკოზას აქაც ბევრი გინება შეხვდა და იძულე—

ბული შეიქნა დაღანჭალებულ მაგრატელისთვის მიემართა. მაგრამ ვერც აქ წავიდა საქმე სასურველით—მაგრატელს ქრის მეტი ყველაფერი სცოდნოდა.

— კაცო, ხუმრობა იქით იყოს და რის მოხელე კაცი ხარ, ა! უბნებოდა სიმოზ,— დანა შენ არ გივარგა, მარგატელი არ გიქრის, მარშინი კაპეიიათ არ ღირს, სარკე გაქ იმისთანა, რომ კაცს გადარჩევ... რეის მოხელე ხარ ვერ გამიგია... რას იტყუებ თავს?.. ყანა თოხნო არ გირჩევნია მაგის ხირტიბალს?

მარკოზა ღიმილით ისმენდა ყველაფერ ამას და ისევე უპასუხებდა:

— ხო კაცო დღეს ორშაბათია, გუშინ ბევრი ვამუშავე და... იმის ბრალია... აი აგერ დავლესო დღეს.

— მე ჩემი ქე დამშართე და აწი გინდა გალესე და გინდა თავზე გადირეხე.

როგორც იქნა დადგა ფულის მიცემის უამიც.

— მეიტა აბა ორ კაპეიიანი. შაური მაქეს! უთხრა გულმოსულათ სიმოზ და ჯიბეს გაიკრა ხელი.

— ორ კაპეიიანი არც უნდა მქონდეს,— ამ სიტყვებით მარკოზამ ამოილო რაც მოექოდა, მაგრამ ორკაპეკიანი მართლაც არ აღმოაჩნდა. სიმოზაც ეს უნდოდა,— ახლა კი გამოვედი ორ კაპეიკშიო იფიქრა;

— აბა სამ კაპეიიანი მომეცი და კაპეიკი ჩემზე დარჩება.

— იცოცხლა შენმა თავმა, — შეყვირა მარკოზამ, რომელმაც მაშინვე შეატყო მოსალოდნელი საფრთხე,— მოიტა აქ მაგ შაურიანი, მოიტა, კი გიშოვი შენს ორკაპეიკს,— ამ სიტყვებით ცალი ხელი ფულისკენ გაუწოდა და ცალი ფულის ძებნა დაიწყო, — ვითომც მაქესო. სიმოც მიხვდა რაში იყო საქმე და შესაფერი პოზიცია დაიჭირა: ფული მაგრათ დამუქნა და უკან დაიხია.

— რო მოგვე, რაზე მოგვე, ორი კაპეიკი წელე და კაპეიკი მემართოს, რა უპირული მნახე ისეთი, რომ ვერ გადაგიხდი?..

— შაური მოიტა და ორიც ჩემზე იყოს საღამომდი:

— მაგ ქუთაზე ვარ ამ ორშაბათს! შენ თუ კაპეიქს არ მენდობი, მე ორი კაპეიკი გენდო? რა ბრიყვი მნახე ისეთი! — შესწყრა სიმო, — ა, ძმაო, შენი ორი კაპეიკი და მომშორდი თავიდან, მეტი არც ლირს შენი ნამუშევარი.

— ერთი უყურე ამას? გუშინ ხომ მომცემდი შაურს!

— დეიკარე აქედან, შაურათ პარიკმახელათ მევიპარუავ თავი!

დიღი აყალ-მიყალის შემდეგ მარკოზა იძულებული გახდა ორი კაპეიკი აელო და კაპეიკი ნისიათ „გაეშვა“, სამაგიეროთ სიმოს გული მაინც მოუკლა:

— ძალი ხარ, მარა გეილიჯგნე თუ არა ძალიერით! მე გახლავარ მარკოზე, გარაგითხეპნე თუ არა თავი ამ დილაზე ნახშირეს მიით.

ნახშირეს „იმის“ ხსენებაზე ცოტა არ იყო შეტყვა სიმოს, მაგრამ თავი იმით ინუგეშა, რომ ასე იაფად გაიპარსა — ორ კაპეიკში გამოვიდა, გუშინ კი შაური უნდა გადაეხადა.

მზე თითქმის წირვის დარეკის დროზე იყო შემოსული, ბევრი მუშა კიდევც გაძლა მუშაობით; ყველაფერი ეს, რასაკირველია, არც ისე სასიამოვნო სიმოსთვის, მაგრამ აქაც იმით ინუგეშეს თავს, რომ თავის მოპარსებში იაფად გამოვიდა და მარკოზაც ისე მოხერხებულათ გააცურა.

ვ. მალაქაშვილი.



„მეივავის“ რევიზია

(ბულგარის ხააგენტო)

გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს არქიეპიდან, დადგენილობა.

„1909 წ. (ქრისტეს დაბადებიდან) შამოვკრბით

რამეთუ განცხაჯოთ კითხვაი, რომელი ეხების ზემოხსენებულ საბჭოს ყოფნა არ ყოფნას, მიზეზთა გამო არსებულისა საბჭოს თამჯდომარესა შინა და განვაწესეთ ექსორია საბჭოისა ფოთისაგან ქალაქსა მას სენაკია შინა, რამეთუ თავმჯდომარე საბჭოისა სხვა გზით ვერ განუტევა მრავალ ტან-ჯულმა საბჭომ, ხოლო საშეალებითა მითა, საბჭო განეტევა თამჯდომარისაგან: დადგენილობათ ესე ასრულებულარს მას ემსა შინა სახელითა უფლისათა“.

საბჭოს წევრები

„1912 წ. (ქრის. დაბადებიდან) შეამდგომლობაი უმართებულესის მოსამართლის წინაშე საბჭო-საგან გ. ს. ს. სამოსწავლოისა ხსენებულ საბჭოის ფოთიდან სენაკს გადატანა იყო გამოწვეული მა-შინდელ თავმჯდომარის მოშორების განძრახითა, ხოლო ეხლა შეწევნითა ღვთისათა და ნებართვითა თქვენითა ვითხოვთ ისევ ფოთში გაღმოტანის ნებასა“.

საბჭოს წევრები.

თხოვნის პასუხი საგაოს.

„შეამდგომლობაი თქვენი არა შეწყნარებულ არს, რამეთუ გადატან გადმოტანა სამოსწავლო საბჭოისა მავნებელ არს დაწესებულებისა ამის

ვეული ისეთი პირიც კა როგორც არის“. შაშა
კალენჯერიძე,

„1916 წ. კვალად ვშუამდგომლობთ.

მოგვეც ჩვენ დღეს უფლება საბჭოს ფოთსა-
შინა გადატანისა, რამეთუ უუკეთ ვუპატრონოთ
სამოსწავლოსა ეპარქიასა ჩვენსა.“

საბჭოს წევრები.

პასუხი თხოვთხისა.

„ქრისტეს დაბადებიდან 1916 წელსა ზაფხუ-
ლის უამსა დაკმაყოფილებულარს შუამდგომლო
ბა გ. ს. ს. ს. საბჭოსი“.

ამავე უამსა და წელსა შევიკრიბენით ჩვენ
წმინდა მამანი და მამათა მამანიც, რამეთუ ავირ-
ჩიოთ წევრები ახალი სსენებულ საბჭოისა და ავირ-
ჩიეთ ვინც ამ დროს დაგვესწრო, მიუხედავთ შესა-
ფერ პირებისა — წევრები, ხოლო თავმჯდომარე
როგორც იყო ტრადიციულათ დეკანოზი ტაძრისა“.

გაიცავის რეზოლუცია:

„რამეთუ გამოიტანით დამტეიცდა საბჭო თა-
ვიდანვე ვერ იდგა თავის სიბაღლეზე, რომელზე-
დაც დამოკიდებულია მრავალთა მოსწავლეთა და
მასწავლებელთა ბედი, იმას თავმჯდომარის შიშით
თვით საბჭო გათაუსახლებია ფოთიდან, ხოლო
დიდი ხნის შემდეგ და ძევლი თავმჯდომარის მო-
შორებისათანავე ისევ დაუბრუნებიათ ფოთში.
ვისგანც ჯერ იყო უნდა მოეწეოდა საბჭოს არჩევან-
ზე ამ საქმისათვის შესაფერი და განსწავლული პი-
რები, რასაც ვევრდი აუარი სსენებულმა კრებამ,
რაც იქიდანაც სხანს, რომ კრებაზე არ იყო გაწ-

— რომელიც როგორც განათლებითა და თეო-
რიული ცოდნით ისე პედაგოგიურის და პრაქტი-
კულის გამოცდილებით არის აღქურვილი და ძვე-
ლი ყოფილი მეოვალყურე სახალხო სკოლებისა,
რომელიც აუცილებლათ ამ საბჭოს თავმჯდომარეთ
უნდა არჩეულიყო და არც უბრალო წევრობაც
არ ეღირსა როგორც ასეთი აქ არის ჩიდენილი
ცოდვა, ხოლო ცოდვა — პედაგოგიურ — მორალუ-
რი; რისთვისაც ცოდვილნი ეძლევიან სამართლში
102 მუხლის ძალითა ჯოჯოხეთს „წესითა“.



ერთს. თქვენის პირით კეშმარიტება ლალადებს,
როცა სწერთ:

„აქ მიჰდობს შეწვევები შესტურულს,
ტვინს ადარ ვდალებ ქადაში;
გვიაჭრობ, რომ ამა ჩემს წერილს
გადატორენენ ქალათში“ —

კალათმა იკითხოს, თორემ თავის ქალის რა
უკირს.

მეცნიერების. თქვენი ლექსი ჯიმითელ ვაკე-
ებისადმი ცოტა მოიკოჭლებს. ვბეჭდავთ, მხოლოდ
ერთად ერთ კუპლეტს, რომელიც საუკეთესოთ
ჩაითვლება:

„უპარესენელ ფასიანს,
დაადგეს დადი ფასები
მოდი და აბა იუიდე,
მოდი ნე დაიდმაჭები“.

თუ არ დასტოვებთ მგოსნობას თქვენ აგტკი-
ვდებათ პატები.

უოფილება. ჩვენის აზრით თქვენი ლექსივი-ათვერის საყათმყოფოს შესახებ გადარტყმებული უნდა იყოს:

შესახურები „რომ გასუქდენ
დაავიწყდათ თავისი ვადი,
მათ ჩაიცემეს ქურქათ ტუავი
მუშის ზურგზე გადამძრალი“
საჭმე იმაშია, რომ საქურქე ტყავიანი მუშა ჩვენ
კითურაში არ გვეგულება.

მკერავს. განსაკუთრებით კარგი ნაკერი
თქვენი „შესტვირულის“ ბოლოა:

„ჰე ეშმაგო, აწ შენ იცი
ამათ შეკავში თუ სად ნახო
გახვეწები, აქაც, იქაც
საუგუნდო ამათრახო“
მაშინ სალი მოელის გრძნობით
შენ გადგიშვის გულის ნადებს
და ფეხ ქვეშა შენც დაგითენს
აქაგვით ა ვარდებს
შეთლიდ შე გი ვარდის ნაცვლათ
აქამდერებ ქმანჩისო
„ახალ კლიმში“ დაგაცტიშებ
სადაც სეამენ ქაფე ჩასო.
უპატრონო ძაღლებით
სად იურან უკლა თაგსო
(დაფიქრდები, იტუვი ჩემი,
რას მოვეწარ აშ ამბავსო!)

სცდები, მეგობარო! ზოგიერთა „მგოსე-
ბისაგან“ ჩვენ უარესაც მოველით!

შაგრუმულება. „პროსედ ვიპაზე
შინდვრათ უყავილი,
ასლათ მთსილი
და შეგნიერი...
სელში დაგიწერ
და გუდს შიგიკარ
და მითი გახდი
შე ბედნიერი...
მაგრამ დრო დადგა
უყავილს დაეტერ
დალრეჭილობა
რაღაც ნადებელი...
ჭერებოდა და თანაც
გაუვითდებოდა
როგორც თაფლიდა

შინდა სანთეჭი...

და ესდა შორ ახდო
როგორც გბებულობ
ის ვარდი შეს
გაუგრებულა...
და მისი თრთვა
და სიეგარული
ბევრი ალაგას
დარიგებულა“.

თქვენ სად ბრძანდებოდით, როცა არიგებდენ?



ველისცის „მოღვაწე“

შემომიელია ქვეყანა,
ქალაქი დაბა-სოფელი:
თფილისი, თელავ-სილანი,
შალაური და ხორხელი.
ბევრი მინახის მოლვაწე,
ხალხის გულ-შემატკივარი,
და არსად იმის მაგვარი,
ველისციხეში რომ არი.

იგი ჩვენი სკოლისა
უფროსი მასწავლებელი,
„თავდადებული“, ხალხისთვის
(ჯიბის კი შემსუქებელი)
რა ეშველება ჩვენ სოფელს,
რომ არ „სწალობდეს“ ეს პირი?
ვინ „უპატრონოს“ ჩაგრულ ხილხს?
ვინ „მოაშოროს“ მას ჭირი?!
მის საქმე „მოლვაწეობას“
ვერ ასწერს კაცის პირი!..
თუმც ცხრათვის „დალლილ დაქა-
ნცულს“

ზაფხულში „შვება“ სჭირია,
მაგრამ ეს ხალხის „ერთგული“
არც ზაფხულობით „ისვენებს“
და მათვე „საკეთილდღეოთ“
ყოველ გვარ ხერხებს იყენებს.
კრელიტის ამხანაგობამ,
ამ ზაფხულს, თიბათვეს მგონი.

მიმღება ხელის მოწერა 1917 ფრისათვის
ერგელ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ე მ გ ა კ ი ს მ ა თ რ ა ხ ე ლ

შურალის სამხატვით და სალიტერატურო მხარის განაგებას ე ჯ ე პ ი,
ხოლო გამოცემის საქმეს კანონის „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

შურალის ფასი: 12 თვით 6 პ. | 6 თვით 3 პ. 50 კ. | 3 თვით 1 პ. 80 კ. | 1 თვით 60 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მ ხ ი ლ ი დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხოვები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვერცხები სხვა.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ
ამ აღრესით:

Тифлисъ

*)

С. Р. Тавартиладзе,
Ольгинская 6,
Почтовый ящикъ № 96.
(ეშმაკის მათრახისათვის).



*) ეს ადგილი კონკრეტული შარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვალეობით, რომ უმარტვა წერილებს რედაქცია არ დაიხსნის.

სოფლის „მოღვაწე“.



დაკარგა, ბაქოს მახლობლიდ,
უაბიამნით გაგონი
საჩქაროთ გაქოს საძებრათ
(რომ არ ენახათ ზიანი)
გაგზავნეს ჩვენი „მოღვაწე“,
ვითარუა კაცი „ჭკვიანი“
და ისიც სწრაფათ გაფრინდა,
დაჰყო იქ კარგა ხანია,
თუმც დანაკარგი ვერ ნახა
მან მოგვიტანა სხვანია:
ჩულქები, ნასკები-ტუფლები,
და სხვა რაზ გასაყიდები,

რასაც ამ უამაღ ყოველგან
ფასები აძევს დიდები.
თუმც უშაბიამნოთ სოფელი
შეიქნა შესაბრალები,
მაგრამ ტუფლ—ნასკებისაგან
მას „ასცდა“ ჩარჩხა ბრჭყალები.
აწ ფიქრი არ იქნას ჩვენ სოფელს
ამგვარ „უჩიტლის“ ყოლაში.
რაც კი ძეირია ბაზარზე,
„იაფათ“ ჰპოვებს სკოლაში.

შეხი.